

დროება

გამოდის ყოველ-ღე ორშაბათს ბარდა

შანი განცხადებისა

დღის ასრულებით ასრულდა 1881 წლის კვირული. ამ კვირულით ასრულდა წინა წლის კვირულიც. ამ კვირულით ასრულდა წინა წლის კვირულიც. ამ კვირულით ასრულდა წინა წლის კვირულიც.

თუ საჭიროება მოითხოვს, შეიძლება განსჯიან და შეამოკლებს დასაბუთებლად გამოაქვეყნონ წერილებს. და უბეჭდვლად წერილებს დასაბუთებლად გამოაქვეყნონ წერილებს.

განცხადებისა მიიღება ქართულს, რუსულს და სხვ ენებზე.

ქუთაისში განცხადება მიიღება „დროებას“ „ივერიის“ აგენტთან.

ცალკე ნაშრომს „დროებას“ დას 5კა.

რედაქცია
 გლაგოლის პროსპექტზე. აგ. მუხრანის ხანალებ-
 მა ქალუბის ქვემოთ.

ხელის-მოწერა
 მიიღება თვეობით „დროებას“ „ივერიის“ რედაქცია-
 ში, ქუთაისში, „დროებას“ აგენტთან ა. კუთხისა-
 თან ხელაზე. გარეშე მცხოვრებთათვის: ВЪ Тифлисъ,
 въ редакцію „Дროება“ „Иверіи“.

„დროება“ — ივერიის — შანი
 წელიწადში 6 თვეს შიგეს
 დროებას და „ივერიას“ ერთად 14 მან. . . 8 მ. . 5 მ.
 „დროებას“ 9 მან. . . 5 მ. . 3 მ.
 წაღებში „ივერიას“ 7 მან. . . 4 მ. . 2 მ.

აწმურუნის თეატრში
 დღეს, 24 მაისს
 ბ ე ნ ე ჟ ი ს ი

პ. აბაშიძისა
 ქართული დრამატული ტრუპისაგან
 წარმოდგენილი იქმნება:

I
ო ზ ი
 ცოლ-ქმრებ შუა
 ვოდვილი 5 მოქმედ., რუსულიდამ.

II
რა აწის ბენეფისი?
 ინტერმედია — დივერტისმენტი მიზაძე
 გრაფ სოლოგუბისა.
 ბილეტები ისე იღება აწმურუნის თეატრის კასსაში და „ივერიის“ თამბაქოს მაღაზიაში.
 დასაწყისი 8 1/2 საათზე.

იაცორ კასუმოვის და აძხ. მთავარ კანტორაში (ერევანის მედიან-ზე, ჯაუგლის სახლში) მიიღება სელის-მოწერა ნეტარსენებულ იმპერატორის ალექსანდრე II-ის სახელობით ბაჟებისათვის თავ-შესაფარ სახლის (პრიუტის) გასამართავად. (10—2)

მღვდელთა სამკარგიო ჟრილო-ბაჟად

საეპარქიო ყრილობის დროს ქ. თბილისში ხშირად არ იციან ხოლმე სამღვდელთა ის საგნები, რომლებიც განხილვაც კანონით აქვს მინდობილი სამღვდელთა. ამ-გვარი საგნები მრავალნი არიან, მაგრამ ამთგან ყველანი ერთ ნაირი ყურადღების ღების ღირსნი არ არიან. აქედგან წარმოსდგება ხოლმე მრავალი აუ-ღ-მაყალი და საქმით კი არაფრის გაკეთება. მღვდლებს-დებუტატებს უფრო ერთმანეთის ჯიბრობა ეტყობათ, ვიდრე თანხმური და ძმური მოფიქრება საღვდელთებისათვის საჭირო საგნებზედ. ამ საგანთაგან შესანიშნავნი არიან:

ა) სასულიერო სასწავლებელთა მღგომარეობა,
 ბ) თბილისის სანთლის ქარხანის მღგომარეობა,
 გ) მონასტრებისა და ეკკლესიების შემოსავლის ანგარიში,
 დ) თვით ეპარქიის სამღვდელთა საჭიროება.
 ა) სასულიერო სასწავლებელნი საქართველოს ეპარქიაში არიან ხუთნი: ერთი თბილისის სემინარიის, სამი სა-

მაზრო სასწავლებელი — თბილისისა, თელავისა და ბორისა, ერთი საეპარქიო ქალთა სასწავლებელი თბილისში.

თბილისის სემინარიისათვის ძლიერ საჭირო და ფრად საყურადღებო საქმე სამღვდელთებისთვის არის ქართული ენის (ხუცურისა და მხედრული-სა), ისტორიის და ლიტერატურის კათედრის დაარსება სხვა საგნებთან თანასწორის უფლებით. მასწავლებლის ჯამაგირისთვის უნდა გამოიჩინოს წყარო თვით საღვდელთებამ. მართალია, ამას წინათაც სამღვდელთებამ აღძრა ამაზედ სჯა, მაგრამ ვანჩინებაში კი არ ჩაიყვანა, ვითომ ეპარქიის წინამძღოლის რჩევით. ამ უკანასკნელს ვითომ ეთქვა საღვდელთებისათვის, რომ მაზედ თქვენ უბრალოდ თავს ნუ შეიწყენთ, რადგან მე უთქვენთაც სახეში მაქვს ამის შესახებ ვიშემდგომლო სინოდის წინაშე და მოიმედცა ვარ, რომ უარს არ მივიღებო. თუ ამდენი ხნის განმავლობაში არაფერი გაკეთებულა ამ საგნის შესახებ, სამღვდელთებამ სხვის დაპირებას ყური აღარ უნდა ათხოვოს, იმან უნდა ამისთანა შემთხვევაში იმოქმედოს თვითონ გამოცემულ კანონთა სამზღვრებში, ხოლო ეს კანონები სრულს უფლებას აძლევენ იმისთანა სასარგებლო საქმის წარმოებაში, როგორც არის დაწესება სამშობლო ენის კათედრისა.

სასულიერო სასწავლებელთ შესახებ სამღვდელთებამ იმას უნდა ცდილობდეს, რომ ეხლანდელი მცირე (სამი ექვს მაზრაში, ანუ მთელ გუბერნიისაში) რიცხვი სამაზრო სასწავლებელთა არკი შემცირდეს, არამედ გამრავლდეს. ეს საჭიროება, რასაკვირველია, სამღვდელთებამ უკეთ ექნება ნაგრძნობი და ამას თითქმის დამტკიცება და გარკვევა აღირ დასჭირდება, და თუ ამასაც, სხვათა შორის, შეევენთ, ესეც იმისთვის, რომ წასრულ საეპარქიო ყრილობაზედ ლაპარაკი ჩამოვარდა ზოგიერთ სასწავლებელთა გაუქმებაზედ. ამ კითხვის აღძვრა, თუ ვინმემ ეს მოიწადინა, ეხლაც, ფრად სათაკილო და სასიცხო უნდა იყოს ჩვენის საღვდელთებისათვის.

ძალეების საეპარქიო სასწავლებელი ქ. თბილისში სამჯობინარი და სასარგებლო იქნება საღვდელთებისთვის სრულებით გაუქმდეს. მის მაგიერ დანიშნოს სამოქალაქო ქალთა სასწავლებლებში მაზრებში სტაჟენდიები საღვდლო ქალთათვის. მიენიჭოს უფლება, რომელიც წამდელიად ეხლაც აქვს, თვითუფლ სასულიერო

სასწავლებელთა ოლქის სამღვდლოებას, რომ ამან მიიღოს ობოლ-ლარიბი მღვდლის ქალები საეპარქიო ხარჯზედ და ეს ხარჯი გარდაეცეს იმ სასწავლებლის მთავრობას, სადაც, სიხლოვის და სხვა გარემოებათა მიხედულობით, იქმნება ქალი. თელავის სას. სასწავლებლის ოლქის სამღვდლოთა ქალებს ექმნებათ ადგილი ადგილობრივს წმ. ნინოს სასწავლებელში, ხოლო სხვა ოლქებისას თავიანთ სამძღვრებში. თბილისისა და ბორის ოლქის სამღვდლოთა, ურიგო არ იქმნება, ვახსნან ისევე ძველი მცხეთის სასწავლებელი, რასაკვირველია, შესაფერის ცვლილებით. ეს მით უფრო შესაძლებელია და საჭირო, რომ თბილისში, სხვა გარემოებათა გარდა, ძვირათ ჯდება შენახვა და მცხეთაში ქალების მიყვანა გასაჭირი არ იქმნება სამღვდლოებისთვის, რადგან აქ რკინის გზა ააიაფებს და აადვილებს მიყვან-მოყვანას.

ბ) შოვლად-სამღვდლო იოანნიკემ ის სიკეთე მოუტანა ჩვენს სამღვდლოებას, რომ მოსვლისავე უმაღლესი სანთლის ქარხანა გამოაცალა მანტორას და მიანდო სამღვდლოებას მისი წარმოება და თვალ-ყურის ჭერა. პირველსავე საეპარქიო კრებაზედ სამღვდლოებამ შეადგინა დროებითი კამიტეტი რაოდენთამე მღვდელთაგან და ამას მიანდო სანთლის ქარხანის მმართვეა და წარმოება. მე ვგონებ, რომ ეხლა დრო არის სამღვდლოებამ მოსთხოვოს აღნიშნულ კამიტეტს ანგარიში სანთლის ქარხნის შემოსავალ-გასავლისა. სამღვდლოებამ ყოველი ღონის-ძიება უნდა იხმაროს ამ ქარხნის გაუკეთებაზედ და შემოსავლის გამრავლებაზედ. ამასთანვე უნდა იცოდეს ძირეული თანხა ქარხნისა და წლიური წმინდა შემოსავალი-მოგება. რაზედ იხარჯება ეს ფული და ვისის განკარგულებით? სამღვდლოებამ უნდა ჰქონდეს მინიჭებული სრული უფლება ამ ფულის განაწილებაში და ხარჯვაში. აქვს, თუ არა მას ეს უფლება მინიჭებული და იცის რამე, თუ არა, ეხლანდელ მღგომარეობაზედ სანთლის ქარხნისა, ეს თვით სამღვდლოებას ეცოდინება.

გ) მპარხიაში მყოფი მონასტრების შემოსავალ-გასავალს ყოველთვის უნდა ითხოვდეს და იცოდეს საეპარქიო ყრილობამ, რადგან იმას უფლება აქვს მინიჭებული ამ ფულიდამ თანასწორი შესწირავი ანუ შემწეობა აძლიოს ეპარქიაში მყოფს სასულიერო სასწავლებლებს. აქვს ეს ცნობები სამღვდლოებას ხელში, იცის

ესრეთი თავის უფლება და უხმარია როდისმე ეს უფლება სასარგებლოთ სასულიერო სასწავლებელთა, თუ არა, ეს თვით სამღვდლოებამ გასინჯოს.

დ) საეპარქიო ყრილობაზედ სამღვდლოება უნდა განიხილავდეს ხოლმე იმისთანა საგნებსაც, რომლებიც ენებთან მთელს ეპარქიას. ეს საგნები შეეხებიან გონების, ზნეობის და მატერიალურს მღგომარეობას სამღვდლოებისას. მპარქია არა ჰსაჭიროებს, რომ ერთი სალიტერატურო ორგანი ჰქონდეს ქართულს ენაზედ? თუ საჭიროებას ჰხედავს, განა ვერ გამოაჩენს იმისთანა საშუალებას, რომლითაც ამ აზრის აღსრულება შეიძლებოდეს?

მინ იცის რამდენი სხვა საგნები შეიძლება ვაჩვენოთ, რომლებიც განხილვა საეპარქიო ყრილობაზედ დიდად საჭირო და სასარგებლო იქმნებოდა. ამ საგნებს უყურადღებოდ არ უნდა სტოვებდეს ჩვენი სამღვდლოება, თუ აქვს ამაზედ (თუ კი რუსეთში აქვს, ჩვენში რაღა დაემართებოდათ) მსჯელობის უფლება, და თუ არა აქვს, უთუოთ უნდა ითხოვონ ამისთანა უფლება ვისგანაც ჯერ არს.

აი, ჩვენის აზრით, ის ძირეული საყოველთაო სახელმძღვანელო აზრები, რომლებიც წინათვე აწონილი, მოფიქრებული და გადაწყვეტილი უნდა ჰქონდეს ყველა დებუტატს, რომელიც უნდა დაესწროს საეპარქიო კრებაზედ.

მღვდლის შეილი.

რც-და-ექვს მაისს არის დანიშნული ქ. თბილისში ეპარქიის სამღვდლოთ კრება. ამ კრების უმთავრესი განსახილველი არის სასულიერო წოდების საქალბო სასწავლებლის შესახებ საქმეები.

შესურს ორიოდ სიტყვა ეჭსთქვათ იმაზედ, თუ რა მოვალეობა აქვს ამ შემთხვევაში ჩვენს სამღვდლოებას, რა უფრო ეჭირვება მათს შეილებსა და რა უნდა გააკეთონ.

პარგი იქმნებოდა, რომ თვითო მაზრის სამღვდლოთ წარმომადგენელი (თვითო საბლალოჩინოდამ ორ-ორი დებუტატი) ერთად შეკრბენ ხოლმე წინა დღითვე და ერთად მოილაპარაკონ, თუ რა უნდა ჰსთქვან კრებაზედ, რა უფრო ეჭირვებათ მათ და როგორ ვაარიგონ თავისათვის სასიკეთო საქმე. მაგრამ, საუბედუროდ, ამ გვარს მოქმედებას არ მიჰსდევს ჩვენი სამღვდლოება, ყოველს დებუტატს თავის საკუთარი აზრები აქვს

(ხშირად მოუფიქრებელიც შედიან კრებაში) და თვითთულმა არ იცის, თუ რა აზრისა მისი ამხანაგი და მოძმე... ამას თავი დაენებოთ და შეეუდგეთ თვით კრებასა.

კრებაზედ სხვა-და-სხვა მახრის, სხვა-და-სხვა ხასიათის (და ხშირად ვიშარ-თულების) მღვდელნი დაესწრობიან. იმათ უნდა დაიფიქროთ საზოგადო კრებაში თვისი პიროვნული სარგებლობა და თავ-მოყვარეობა. მარქიალური სამღვდლოთ ყრილობა ფრიად სამძიმო და დიდს საქმეებს შეეხება. ხშირად ეპარქიალურის კრებით სწყდება ბედი და უბედობა მათ შეიღებოსა. ამისათვის სასურველია და საჭიროც, რომ თქვენ ყოველს განსახილველს კითხვებზედ მოფიქრებით, დალაგებით და კეთილის მიზნით ილაპარაკონ. მღვდლების ხელშია თქვენთ შეიღებ ბედი და უბედობა და ნუ თუ იმათგანი რომელიმე მიიწოდებთ თავის შეიღების უბედურებასა?!

საზოგადო კრებაში, სადაც უნდა გადასწყდეს მათი შეიღების ბედობა, ფრიად მკაცრებელია პიროვნობა. ზოგს ეხატება — ჩემი სიტყვები ეწყინება ამა-და-ამასო. ეს ტყუილი და მტკი თავაზიანობაა: ისინი იმისათვის იწოდებენ, რომ გულანდილად ილაპარაკონ ყველა ის, რასაც კეშმარიტება უჩვენებს...

თავსმჯდომარედ საჭირო არ არის მათთვის არც „ჩინიანი“, არც სობოროების დეკანოზები. სოფლის სამღვდლოების საჭიროება, სოფლის მღვდელმა უკეთესად იცის, ვიდრე ქალაქის სობოროების მღვდლებმა. ამისათვის უკეთესია სოფლის მღვდელთაგანი აღმოიჩინონ...

საქალებო ეპარქიალურს სასწავლებელზედ უნდა მოგახსენოთ, რომ იგი ვერ აკმაყოფილებს და ვერც დააკმაყოფილებს იმათ მოთხოვნებსა და საჭიროებასა. ჯერ ვაყვების წაყვან-წამოყვანა უძნელდება მრავალს იმათგანსა და რამდენად უფრო ძნელია ქალის წაყვან-წამოყვანა ტფილისში — ეს ხომ იმათ უკედ იციან ჩვენზედ... შენახვა ამ სასწავლებელში იმდენად ძვირად ჯდება, რომ არა მგონია სოფლის მღვდელს შეეძლოს აქ თავის ქალის თავის ხარჯით შენახვა... მაშ იგი მხოლოდ ტფილისელთათვისა ყოფილა. მაინც მოისაზრონ...

მაეც მიიღეთ მხედველობაში: არა მგონია, რომ სოფლის წმინდა და მთელს ჰავაში აღზრდილმა პატარა ქალმა აიტანოს ტფილისის, მერე ან-ჩისხატის უბნის დახშული და მომხიბლავი ჰავა... ჩვენის ფიქრით, უმჯობესია ანჩისხატის სკოლა ისევ მცხეთაში გადითანონ, სადაც სახლებიც კარგია, შენახვაც უფრო იაფი და ჰავაც უკეთესი, ვიდრე ტფილისშია.

შველანზედ უკეთესი კი ის იქმნება, რომ თვითო მახრის სამღვდლოებამ თავის მახრის საქალებო სასწავლე-

ბელში აღზარდოს; ამ შემთხვევაში ამ საერთო ფულიდამ ყველას თავის კუთვნილება უნდა მიეცეს და ამ ფულით შეინახონ ის ქალები თავ-თავის მახრის სასწავლებლებში, რომელნიც მიღებულნი იქმნებიან საზოგადო ხარჯზედა. ეს მით უფრო სასარგებლოა, რომ ტფილისში ოთხის ქალის მაგივრად, პროვინციაში ექვსი და შეიღი ქალი აღიზრდება და, ვგონებ, ეს უმჯობესია...

მაგრამ მაინც ეურჩეთ სამღვდლოებას, რომ მან დაწვრილებითი ანგარიში და მდგომარეობა შეიტყოს. ანჩისხატის სასწავლებლისა: ასწავლიან მათს ქალებს სასარგებლო საგნებს თუ სხვა ნაირად არის საქმე დეკანოზული... ასწავლიან, და როგორ ქართულს ენას, საქართველოს ისტორიასა? იმედი გვაქვს სამღვდლოება კარგად შეიტყობს თავის ქალების სასწავლებლის წესებსა...

ამის გარდა, ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ კრებაზე სასულიერო სასწავლებლებზედაც ჩამოვარდება ლაპარაკი და აი ჩვენ რას ვურჩევთ სამღვდლოთ კრებასა:

ძველის ენების გაკვეთილები მეტად ბევრია სასულიერო სასწავლებლებში და ქართულის ენისათვის კი კვირაში ორი გაკვეთილია თვითო კლასში. სასულიერო სემინარიაში სულ ოთხი გაკვეთილია ოთხს კლასში ხუცურის კითხვისა. იმედია, სამღვდლოთ კრება მიიღებს ამას მხედველობაში და ხარდასწყვეტს, — იშუამდგომლოს ითგოვს უმაღლეს მთავრობასთან, ძველის ენების შემცირებაზედ, ქართულის ენის გაკვეთილების მომატებაზედ და ქართულის მასწავლებლის შტატში შერიცხვანზედ...

თქვენი შვილი.

შეცდომა. ბუშინდელ ნომრის წინა სტატიაში მეორე გვერდზე, პირველ სვეტში დაბეჭდილია:

ჩვენ იმას კი არ უნდა ვუბნებოდეთ ხალხს, რისიც სმენა იმას იამება და ისე კი არ უნდა ვიქცევოდეთ, როგორც იმას ქსუსს, ანაქედ ისე როგორც ჩვენი სინილისი და ქკუა გვამხილებს და სხვ.

უნდა იყოს: ჩვენ იმას კი არ უნდა ვუბნებოდეთ ხალხს, რისიც სმენა იმას იამება და ისე კი არ უნდა ვიქცევოდეთ, როგორც იმას ქსუსს, ანაქედ ისე როგორც ჩვენი სინილისი და ქკუა გვამხილებს და სხვ.

ახალი ამბავი.

ჩვენ გაზეთში იყო ამას წინათ მოხსენებული, რომ რამდენიმე შემთხვევა მოხდა ტფილისში ძაღლების გაცოფიანებისა და ერთი დაკბენილი კაცი კიდეც მოკვდაო.

ამ გვარსავე ამბავს გვწერენ ახლ მუთაისიდანაც: ამ ორი კვირის განმავ-

ლობაში ჩვენს ქალაქში რამდენიმე ძაღლი გაცოფიანდა და ერთს გაუცოფიანდა ხარო. ცოფიან ძაღლებმა სხვა ძაღლები და პირუტყვები დაკბინეს და პატრონებს ამათი გაცოფიანების ეშინიანთო.

პორრესპონდენტი გვწერს, რომ არც ჩვენი პოლიცია და არც ქალაქის გამგეობა ამ გარემოებას სრულებით არაეითარს ყურადღებას არ აქცევენო, უპატრონო ქეციანი ძაღლებით სულ საესეა ჩვენი ბულგარი და ქუჩებიო.

* *

მიზიციდამ გვწერენ, რომ მთელი ეს ჩვენი მხარე დიდს შევიწროებაშია ფულის სიძვირის გამოყო. მანსაკუთრებით საგრძნობელი შეიქნება ეს უფულობა წელს, როდესაც ბლოში მოსავალს მოველით და არ-კი გვეცოდინება — თუ როგორ, რა საშვებით მოვიწიოთ ეს მოსავალი. ბანკები, გულ-შემატკივარი მესხებლები ჩვენ არა გვყავს; ერთი სოფლის ბანკი იყო სოფ. ძარდანახში (თ. ილია მანჩაძის თაოსნობით დაარსებული), ახლა აღარც ის წარმოებს, რადგან ფულები გაუტანიან და აღარ აბრუნებენ. მიფიქრებთ, ვიფიქრებთ — ისეც სიღნაღის ვაჭრებს მივადგებით და აბა რაღა თქმა უნდა ჩვენის ვაჭრებზედ ესენი კარგათ სარგებლობენო...

* *

ორპირიდან გვწერენ, რომ რამდენიმე წელიწადია, რაც ერთს აქაურს სკაპეცს კერძო სკოლა აქვს გამართული და თითქმის სამოცამდინემაწილი ჰყავს მიბარებულიო. ტვეში თითო შაგირდს თუმანს ართმევენო. შაწვილები ამ სკაპეც-მასწავლებელთან ხშირად ხუთ-ექვს წელიწადს და მეტსაც რჩებიან, მაგრამ ზოგიერთები რუსულ წერა-კითხვასაც ძლიერსწავლობენ ამ ხნის განმავლობაში.

პორრესპონდენტი გვწერს, რომ ამ სკაპეცს აღრინდელ ლუბერნატორის ლევაშოვისაგან და აგრეთვე მიროვი პოსრედნიკისაგან დათხოვნილი ჰქონდა უმაწვილების სწავლება, მაგრამ ეს იმათ აღკრძალვაზე ყურსაც არ იბერტყს, ძველებურად იბარებს შაგირდებს და ტყუილ-უბრალოთ ართმევენ იმათ შაგირდებს სწავლის ფასსაო.

* *

ძაეთიხვეიდან გვწერენ: აქ ზოგიერთა ახალ-გაზდა ქალვაჟთა, მაკრინა მალალოვის მეცადინეობით, განიძრახეს საზაფხულოთ წარმოდგენების გამართვა, რომლის პირველ შემთხვევაში დედა-აზრათ ის არის, რომ დაენმარონ ღარიბ ძაეთისხვევლ სკოლის მოსწავლეებს და ნიჭიერებისა აქ სწავლის გათავების შემდეგ მიეცეთ შემწეობა სწავლის გავრცელებისა. მხოლოდ პირველ შემთხვევაში სცენა მოიმართება.

აი 6 მაისს საღამოს 8 საათზედ წარმოადგინეს „ბუბანეჩი ქაწწილი“ თხზულება ა. სხვედაძისა. მომეტებული ნაწილი აქტიორებისა და აქტრი-

სებისა ძაეთისხვევის სკოლის შევირდები იყვნენ, რომელთაც დიდი მადლობა დაამსახურეს საზოგადოებრივად; როგორც წარმოდგენით, ისე ლექსების წაკითხვით და სიმღერითა. ზოგიერთ გარეშე პირებმაც მხურვალე მონაწილეობა მიიღეს.

წარმოდგენის შემდეგ გაიმართა ცეკვა.

საზოგადოდ ხალხი დიდი მადლობელი დარჩა და გამოაცხადა სურვილი რაც შეიძლებოდა მალ-მალე იყვეს გამართული წარმოდგენები.

ეს აზრი დიდათ სასიამოვნო აზრია როგორც თავისი კეთილი მიზნით, ისე სოფლის მოწყენილი საზოგადოების გასართობლათ...

„დროების“ კორექსიონდენციები

I

ახმათი, 19-ს მაისს. ბავიჭირეს საქმე ამ აუარებელმა და საშინელმა წყიმებმა! ღღე არ გაივლის, რომ დღისით ან ღამით წვიმა არ მოვიდეს. ალაზნის მშენებელსა და ალყავებულს ველზედ რომ წვიმა მოდის, ძაეკასიისა მთა-გრეხილის წვერები თეთრის თოვლით იმოსებიან. იმ დღეს ისეთი საშინელი ნიავ-ღვარი იყო, რომელის მსგავსი აქაურებს 10-15 წელიწადია არ უნახავთ. თელავში სახლი არ გადარჩა, რომ წვიმა არ ჩასულიყო. თელავის რიყემ რამდენსამე ალაგას გადმოჰხეთქა და ბევრს სახლში შევარდა წყალი არამც-თუ მარტო კარებებიდან — კედელსაც-კი შეატანა! ხეები ხომ დაგიდნენ: კიდევ კარგი, რომ სივზედ წვიმა არ იყო, თორემ თქვენი მტერი, ნახევარს თელავს წაიღებდა! მაინც ოდესმე ერთს უბედურებას მოახდენს ეს რიყე, თუ თელაველთ არ უპატრონეს. მაგრამ თელაველთგან ზრუნვა ვის გაუგონია, — ეს ხომ შეუძლებელია... რამდენიმე ვენახი წარიყა იმდღენდელმა ნიავდარმა.

სეტყვაც გვეწვია, რამდენჯერმე დასეტყვა ზემო-მხრის სოფლები: აწყური, იყალთო, მტკიცო, ახატელი, ზალმა-სანიორე, შაქრიანი...

ალაზნის ხიდი, თუმცა ჯერ არ წაუღია, მაგრამ ფამფალობს-კი. ხალხი-კი ვერ გადის ზედ და თუნდ იყოს, თუნდ არა, საკვირველია, ღმერთმანი, ზამთარში, როდესაც ხალხიც თავისუფალი იყო და წყალიც პატარა, ხიდს ზედ არავინ შეჰხვდა; გაზაფხულდა თუ არა, გამორეკეს ხალხი ბეგარაზედ ხიდის გასაკეთებლად. თუმცა მრავალი ხალხი და ურმები იყო გამოყვანილი ხიდის ბეგარაზედ, მაგრამ აქამდის თითქმის ორი თვეა ვერაფერი გაარიგეს. ხალხი თავის აუარებელს საქმეებს მოაქდინეს (მერე რამდენი საქმე აქვს გაზაფხულზედ გლეხსა!) და ვერც ხიდს უშველეს რამე...

ეს ხიდის ბეგარა კიდევ არაფერი: თელავის მახრიდან 1800 კაცი გაგზავნეს სიღნაღის მახრაში ჩალაუბანში გზის საკეთებლად! ეს რაღა სამარ-

თალია: თელავის მაზრაში როდის მოსულან სხვა მაზრიდან ბეგარაზედ, რომ აქედგან ერეკებიან! ამბობენ: მაზრის უფროსმა მოახსენა გუბერნატორს ბევრი სამუშაო აქვს და თანისი ბეგარაცო და თელავის მაზრიდან ხალხს ნუ გაიწვევთო: ბუბერნატორმა უპასუხაო; „რასაც გიბრძანებენ, ის აღასრულეთო; თქვენ თქვენს აზრს არავენა გკითხავთო!“...

ჩინო.

II

ხაშურში, 16 მისს. ერთი უპატრონო და ოხერი სოფელი ხაშურშიც ყოფილა; ახალციხეს მივლიოდი, შემთხვევით ოთხს დღეს დაერჩი ხაშურში და რაც აქ უპატრონობა ენახე და გავიგონე, არსად არც მიენახეს და არ გამიგონია.

მრი პატარა ქუჩა არის აქა, ერთი ფოშტის სტანციისაკენ მიმავალი და მეორეც ვაგზლიდამ სამხრეთისკენ; ორივე ქუჩები საშინლათ ბინძური და მყრალი, კაცს გავლა დაეზარება; ნუ თუ არ შეიძლება პატარა მამასახლისმა სუფთათ შეინახოს, რომ ამოდენა მცხოვრებმა და ახალციხეს, ბორჯომს, და აბასთუმანს წამსვლელწამომსვლელებმა თავისუფლათ შეიძლონ გავლა-გამოვლა, მინამ თანთან გზას დაადგებოდნენ? მაგრამ, როგორც მითხრეს, აქაური მამასახლისი უფრო თავის ჯიბის და მუცლის ყურის-მგდებელი ყოფილა, ვინემ სოფლისა.

ერთი ყსაბია;—ხორცს რა ფასათ უნდა ჰყიდის; მამასახლისს რა ენაღვლება, ის ხორცში თურმე კაპიკსაც არ იხდის.

პრლანჩიკებისაგან ხომ ილაჯია გაწყვეტილი; მაგრამ მხოლოდ რამოდენიმე დუქანში უკრავენ, სადაც თითონ მამასახლისი ბახუსს ემუსაფება, სხვა დუქანებში ნება არ არის დაკერისა.

ერთი ვილაც კაცი წაენხება მეორეს, უმიზნოთ დაუწყო ლანძღვინება. მამასახლისი მობრძანდა, მართალი გაამტყუნა, დურაკიც მიიძახა, მტყუნანს გაჰყვა ბახუსის თაყვანის-საცემლად.

ამ თვის 5-ს საღამოს ხუთს, საათზედ, აქ მამხდარა, როგორც მითხრეს, ფრიად შესაძრწუნებელი უბედური ამბავი. იაგორ ბრიჭუროვს ერთს გლენს კაცთან რაღაც უბრალო ლაპარაკი მოსვლია; გლენს ბრიჭუროვისათვის ქვის დარტყმა განუზრახავს, ამ დროს მამასახლისი თავის დღისათვის იქ ბრძანებულა; ნაცვლად დამწვინებისა და გაზავებისა, მამასახლისის გლენისათვის უბრძანებია, დარტყვი, მოჰკალ ეგ მამა... მღენსაც სწრაფათ დაურტყამს საფეთქელში მეორე (მანო) ბრიჭუროვისათვის ექვს გირვანქიანი ქვა და იქვე გადუგორებია, მერე დახვეიან დესეტნიკები იაგორ ბრიჭუროვსა და ძალზედ უცემიათ:

ქვა-ნაკრავი ორ საათს მკვლარი გდებულა ქუჩაში. თურმე საცოდავი დედა გაცოცხლებული დისტირის აქ კედარს შეილსა და იქითაც მეორე შეილს უკვლენ დესეტნიკები... ძაკო არავენ მოგნებარა, რომ ქვა დაკრული სახლში შეეყვანათ მოესულიერებინათ, ყველანი მამასახლისის შემინებული ყოფილან, მეორე დღეს იმათაც დაყენებდა იმ დღეს, ვინც ბრიჭუროვს მოგნებარებდა. დიდის ხნის ჩხუბის შემდეგ ქვა-ნაკრავი ვილაც უცხო კაცებს შეუტანიათ სახლში და ძლივს მოუსულიერებიათ.

მს კაცი მე თითონ ენახე; თუმცა ლაპირაკობს, ლოგინში დგება, მაგრამ ბარბაცებს და საეჭოა რომ თავის ჯანზედ დადგეს, თუმც შეიძლება მოარჩეს. მს საქმე სურამის გამომიძებლის ხელშია და იმედია ღირსეულათ დასაჯონ დამნაშავენი, რომ შემდეგისათვის აღარ გაბედონ ამისთანა უწყისობა და უსინიდილობა.

ძიდევ უნდა ელოდნენ აქ ცეცხლის გაენას, რადგანაც ხის შენობა, სალორეებიც სტრახშია შეტანილი... მკვსავრი.

რუსეთი

პეტერბურლის სამოქალაქო რჩევამ განჩინება დასდგა, რომლის ძალითაც ძალაქის ოთხი ვალდებულია თავისთავი შესწიროს მხოლოდ ქალაქის სამსახურს და სხვა გარეშე საქმეებს ხელი არ მოჰკიდოს.

როგორც სწერენ პეტერბურლის გაზეთებში, ახლად ამორჩეულ ძალაქის ოთხს ბ-ნ ზლაზუნოვს გამოუცხადებია, რომ ის ხელს აიღებს, თავის პირ-და-პირი მოვალეობის გარდა, ყველა სხვა გარეშე საქმეებზედ.

— პეტერბურლიდამე იწერებიან, რომ იქ დანიშნულა კომისია ეხლან დელი სამოქალაქო კანონების განსახილველად.

— ბაზეთი „მინუტა“ ამბობს, რომ პრაეოვედების და ლიცეის სასწავლებლების დახურვა გარდაწყვეტილია.

— „პორიადოკი“ სწერს, რომ ძივეის მიტროპოლიტს ბრძანება გაუცია თავის სამღვდლოებაში იქადაგონ ეკლესიებში ებრაელების წინააღმდეგ უწყისობის გამო იმ მიზნით, რომ შეგანონ ხალხს ამ გვარი უწყისობის მანებლობა და მით მოულონ ბოლო მას.

როგორც ამბობენ, მიტროპოლიტს მაკარისაც გაუცია ამ გვარივე ბრძანება მოსკოვში; იმედოვნებენ, რომ უწყინდესი სინოდის მიიღებს ამ საქმეში მონაწილეობას და შემოიღებს რაიმე საზოგადო საშუალებას გაჭირებულ ებრაელების მდკომარეობის შესაღვათებლად.

— პეტერბურლის ფრანკოზული გაზეთი „Journal de St-Petersbourg“ ამბობს, რომ ზოგიერთი პარიჟის გაზეთები სწერენ, ვითომც „ბესია ბელჭმანის ქალი მთავრობისაგან წვალე-

ბის შემდეგ, გარდაცვალა სატუსალოში, მუცლის გაკულებითაო“. მს ცნობა თავიდან ბოლომდისინ გამოგონებულია: ბესია ბელჭმანი არც უწყველებიათ, არც უღროვოდ უშობნია და არც მომკვდარა.

ბაზეთი „ბოლოსიც“ თავის მხრით გადაჭრით ამბობს, რომ სამზღვარგარეთის გაზეთების ცნობა, ვითომც ბესია ბელჭმანის ქალი აწვალეს—ტყუილიაო. ბელჭმანის ქალი დღემდის იმყოფება დროებით სატუსალო სახლის საქალგო განყოფილებაში, ცალკე ოთახში, რომლის სიგრძე არის ექვსი არშინი და სამ ნახევარი სიფართე; ამ ოთახში არის ფანჯარა, ლოგინი, რკინის სკამი და სტოლი. ბელჭმანის ქალს დღეში ორჯერ აქმევენ საქმელს და ჩინსაც აძლევენ. მუდამ დღე დასვირნობს სატუსალოს ეზოში და აქამდინ მას არ განუცხადებია არავითარი საჩივარი ცუდთ მოპყრობის შესახებ. ტუსალებს ნება აქვთ შეუტყვეთონ გარეთ, თუ ჰსურთ საქმელი, ნება აქვთ თამბაქოს მოწევისა; ამის გარდა, რასაკვირველია, ზომიერად—სამშელების სმისაც. შეუძლიანთ აგრეთვე წიგნების კითხვაც.

— ბაზეთი „მარშავის ტურიერი“ გვაცნობებს, რომ მდესაში ხელახლად მოხდა არეულობა და ამის გამო ეაჭრობა შეჩერებულიაო. მდესაში დატუსალებულია ხუთას ორმოცდა-შვიდმეტი რუსი და ას ორმოცი ებრაელი.

იმავე გაზეთს აცნობებენ მოსკოვიდამ, რომ გავრცელებულია ხმა, ვითომ აქაც მოხდება არეულობა ებრაელების წინააღმდეგო და ამის გამო რაოდენიმე ებრაელების ოჯახმა უკვე დასტოვა მოსკოვიო; ებრაელები ცდილობენ საჩქაროთ მისცენ თავის ძვირფასეულობა და ფული ბანკში შესანახავად.

უცხოეთი

საზრანგეთი. ნაციონალურმა ძრებამ ახალ კენჭის-ყრის წესის მიღებით გაათავა თავის სწდომები და დებუტატები დაინიშნენ. ამ თავისუფალ დროით სარგებლობს ძრების თავსმჯდომარე ბამბეტა, რომელმანც განიზრახა საფრანგეთის ზოგიერთ კუთხეები დაიაროს და მომავალ ამორჩევების თაობაზე მოელაპარაკოს ხალხს. ამ ქამად ის იმყოფება თავის სამშობლო ქალაქს ბაპორში, სადაც დიდის ამბით მოგებებია ხალხი და სადაც წარმოუთქვამს სიტყვა საფრანგეთის ახლანდელ პოლიტიკურ მდგომარეობაზე. ამ სიტყვაში ბამბეტა, სხვათა შორის, აქებს და აღიღებს ახლანდელ რესპუბლიკის პრეზიდენტს ბრევის და ამას გარდა ამტკიცებს, რომ საფრანგეთს ამ ქამად მხოლოდ მშვიდობიანობა, წესიერება ეჭირებაო და მშვიდობიანად მუშაობა თავის შინაგან და გარეგან წარმატებისთვისაო.

ოსმალეთი. სტამბოლის გაზეთი გაჭით ამბობს, რომ სულთანის აბდულ-აზისის მოკვლის სულ-ქან-კაცს ბრალდებაო, ამათაგან რამდენსამე მაშინდელს მინისტრს: მითხად-შაშას, მეჰმედ-რულში ფაშას, მაჰმედ და ნური ფაშებს (სულთანის სიძეებს), შეინ-ულ-ისლამს და სხვებს. სულ ყველა ესენი სამართალში არიან მიცემულნიო.

ნარეკი

ამ მოკლე ხსში ამერიკაში დაიღუპა მთელი ტომი, რამდენიმე ათასი კვლეური კაცი წაღვეა წყალმა. ამერიკის გაზეთები სწერენ იმ საშინელ მოვლენებაზე შემდეგ ამბავს:

„იანკტონესების ბანაკი, მდებარებს მდინარე, მისურის დახლოებ ნაზიკესზე. 30 იანვარს უცებ მოიმატა წყალმა. სცოდავი ხალხი ებრძოდა ამ მოულოდნელ ჭირს; მაგრამ ტყუილათ, ყოველი დონისეიება გადარჩენისა შეუძლებელი იყო.

„მთელი ღამე ისმოდა საშინელი ტირილი და წივილ-კივილი ბავშვების და დედა-გაგებისა. მეორე დღეს ბანაკის ალაგას იყო საშინელი მორევი, რომელმაც დატყვავდნენ დიდრონი ყინულის ნაფლეტები. ძაღალი ხეების წვეკებსეკვიდნენ გაყინული კაცების გვამები.

„როდესაც წყალმა იკლო იზგუნეს 5000 ცხენის ღეში. კაცების რიცხვი დიდძალია. ვინც გადარჩნენ ამ კვლეური ტომიდან, ისინი თავის უბედურებას თანვანთ ღმერთის განრისხებას აწერენ.

* *

განცხადება დაბეჭდილი ერთს ამერიკულ გაზეთში:

„მთელი ცნობება მარტო სხისთვის! 10,000 დოლლარი ჰრემია უუმშეკნიერეს ქალს. ადამ ჭარბაუსს ჭსურს ნახს მთელის ქვეყნის უუმშეკნიერესი ქალი. გისაც სურსთ მონაწილეობა მიიღონ ამ კანკურსში, შეუძლიანთ ჩემს სასულეობასე გამოგზავნონ თავიანთი სურათი. ჭარბაუსი იქნება დანიშნულია 31 მარტს.“

* *

სან-საღვადარის რესპუბლიკაში საკვირველი ბუნების მოვლენება მოხდა: აქ მდებარე ტბის გარშემო საშინელი მიწისძვრა და მიწის ქვეშ გრიალი მოისმა და შემდეგ ტბასეკ ამოხდა სამი ცეტსლემინავი მთა და აქამდე დამშვიდებული ტბა უცნობი შეიქნა. საშინელი ორთქლი და გაცეტსლებული ქვა და ნაცარი შადრევანივით გადმოდიოდა დიდის სიმაღლიდგან და მშეკნიერ სურათს წარმოუდგენდა მყურებელს. უნდოდათ ნაკეით მიახლოებოდნენ ამ მოქებს, მაგრამ ეს შეუძლებელი იყო, იმიტომ რომ მთელი ტბის წყალი დუღდა. თვესები და სხვა წყლის შირუტყვნი მოიხარმუნენ და ამოტივტივდა.

ბანსხალბანი

ადგოკატმა

ეკვენი დიმიტრის-მე

ტიხომიროვა

მილო ნებართვა მბილისის ოლქის სასამართლოდამ სასამართლო საქმეების წარმოებაზედ, როგორც მომრიგებელ, აგრეთვე ოლქის სასამართლოშიც; იღებს თავის თავზედ მსურველთათვის საქმეებში დარიგების მიცემას, ყოველგვარი საქმის ქალაქების შედგენას, აპელაციისას და კასაციის საჩივრების დაწერა, საქმეების დაცვას მომრიგებელ და ოლქის სასამართლოში აპელაციის განყოფილებაში. მანსაკუთრებით სისხლის სამართლის საქმეების დაცვას იკისრებს ქვეყანის აქათა მხრის ყველა ქალაქებში, ღარიბების საქმეებს უფულოდ დაიცავს. სასამართლო პალატაში ქალაქს გარედამ შემოსულ საქმეების დაცვა სისხლის სამართლის დეპარ-

ტამენტში. მიიღებს აგრეთვე თავის თავზე ქალაქს გარეშე ყოფი საქმის დამცველებიდან და კერძო პირებიდან მონდობილებას შესახებ მათი საქმეებისა ქ. მბილისში სასამართლოებში და ყოველ გვარ ადმინისტრაციულ განყოფილებებში. შეელა მონდობილებები ასრულდება სიჩქარით.

მიიღებს პირადათ მოსალაპარაკებლათ დილის 8 საათიდან 11 საათამდინ და საღამოს 5—8 საათამდინ.

ადრესი: არსენალის ქუჩა, მედიკი ძნაზის საჯინბოს პირ-და-პირ, თ. არლუტინსკის ღოლოგორუკოვის სახლები, № 6. (3—2)

უზთაისში, ბერარდის წიგნის მაღაზიაში ისყიდება რუსული წიგნი

ГРУЗИНСКІЕ ЦЕРКОВНЫЕ ГУДЖАРЫ

(ქართული საეკლესიო გუჯარები) გამოცემული დი. პ. შურცერაძისაგან შასი თითო წიგნისა ქმსი აბაზი. (5—4)

თფილისის გუბერნიის თავად-ანზაურთა საადგილ-მამულო

ბანკის გაგებობისაგან

თფილისის გუბ. თავად-ანზაურთა საადგილ-მამულო ბანკის გამგეობა, 17 თებერვალს 1881 წელს შმალღესად დამტკიცებულის წესდების მე-16 მუხლის ძალით, აცხადებს, რომ ამ 1881 წლის 13 ივნისს, შუადღებზე, ქალაქს მბილისში, ბანკის სადგომში, სოლოლაკის ქუჩაზე, ნ. შარდანიანის სახლებში № 3, იქნება საზოგადო გასყიდვა, განუშეორებელად, ქვემო-სხენებულ პირთ უძრავ მამულებისა, რომელთაც არ შემოუტანიათ თავის დროზე ხვედრი გადასახადი ამ ბანკიდან აღებული სესხისა ბანკის წესდებრს § § 13, 14, 15, 17, 18, და 19 მუხლებით დადგენილი:

(დასასრული)

მაყაშვილები, გიორგი რევაზის-მე და ზურაბ ივანეს-მე: სახნავე-სათესი ადგილები და ტყე, 660 დესიატ. 1800 საყ. თფ. გუბ. თიანეთის მაზრაში, სოფ. ბოჭყას. თიენი ვალი—11,970 მან. 27 კაბ., შესატანი—508 მან. 14 კაბ., სულ—12,415 მან. 41 კაბ.

ჩოლაყაშვილი, ნიკოლოზ თადეოსის-მე: სახნავე-სათესი, საბალახე და სათიბი ადგილები და ტყე; 5774 დესიატ. 775 საყ. თფ. გუბ. თფ. უეზდში, სოფლებს: შარბულაყს, შალდოს, შჯარმას და სამგორს. თიენი ვალი—67,176 მან. 17 კაბ., შესატანი ბანკში—3017 მან. 70 კაბ., სულ—70,193 მან. 87 კაბ.

საჯინოვი, მხეილ ზაატას-მე: სახნავე-სათესი ადგილები და ტყე, 2052 დესიატინა და 448 ოთხ-კუთხი საყ. თფილისის გუბ. თელავის მაზრაში, სოფ. ზემო-ხოდაშენს, ახალ-დაბას და ახშანს. თიენი ვალი—13,751 მან. 64 კაბ., შესატანი—1045 მან. 34 კაბ. სულ—14,796 მან. და 98 კაბ.

ერისთავი, ვანა მირმანოზის-მე: სახნავე-სათესი, საბალახე და სამოსახლო ადგილები და ტყე, 1009 დესიატ. თფ. გუბ. ლუშეთის მაზრაში, სოფ. შალდას. თიენი ვალი—6,384 მან. 63 კაბ., შესატანი—303 მან. 32 კაბ., სულ—6,684 მან. და 95 კაბ.

ჩოლაყაშვილი, ილია ზაატას-მე: სახნავე-სათესი ადგილები და ტყე, 3402 დესიატინა, თფ. გუბ. სიღნაღის მაზრაში, სოფ. შიურს. თიენი ვალი—39,290 მან. 37 კაბ., შესატანი—1654 მან., სულ—40,944 მან. 37 კაბ.

დოდაგვისა, თამარ ალექსანდრეს ასული: სამოვარი ადგილები და ტყე, 1020 დესიატ. 1920 საყ., თფ. გუბ. თელავის მაზრაში, სოფ. ზემო-ხოდაშენს. თიენი ვალი—8,643 მან., 85 კაბ., შესატანი—552 მან. 22 კაბ. სულ—9,196 მან. 7 კაბ.

გაბაშვილი იოსებ დავითის-მე: სახნავე-სათესი ადგილები, 148 დესიატ. 1860 საყ. თფ. გუბ. და მაზრაში, სოფ. ოქროყანას. თიენი ვალი—5,402 მან. 34 კაბ., შესატანი—260 მან. 32 კაბ., სულ—5,662 მან. 66 კაბ.

ერისთავი, გიორგი გიორგის-მე: სახნავე-სათესი, სათიბი ადგილები და ტყე, 800 დესიატ. თფ. გუბ. თიანეთის მაზრაში, სოფ. ბოჭორმას. თიენი ვალი—4,723 მან. 29 კაბ., შესატანი—220 მან. 14 კაბ., სულ—4,943 მან. 43 კაბ.

შალიკოვისა, დარია გუბაშთის ასული: სახნავე-სათესი, სათიბი და საბალახე ადგილები და ტყე, 973 დესიატ. 866 საყ., თფ. გუბ. ბორის მაზ-

რაში, სოფ. სურას. თიენი ვალი—12,791 მან. 86 კაბ., შესატანი—544 მან. 99 კაბ., სულ—13,336 მან. 85 კაბ.

შალიკოვი, გიორგი რაჭუნის-მე: სახნავე-სათესი, სამოვარი და სათიბი ადგილები და ტყე, 426 დესიატინა 1873 საყ., თფ. გუბ. ბორის მაზრაში სოფ. სურას. თიენი ვალი—8,855 მან. 91 კაბ., შესატანი 380 მან. 69 კაბ. სულ—9,236 მან. 60 კაბ.

გაბაშვილი, ანდრე მისეილის-მე: სახნავე-სათესი და საბალახე ადგილები, 106 დესიატ. 320 საყ. თფ. გუბ. და მაზრაში; სოფ. შირისის. თიენი ვალი—4,919 მან. 95 კაბ., შესატანი—246 მან. 90 კაბ., სულ—5,166 მ. 85 კაბ.

შალიკოვი, იოსებ ივანეს-მე: სახნავე-სათესი მიწები და ტყე, 270 დეს. თფ. გუბ. სიღნაღის მაზრაში, სოფ. ბერჯანს. თიენი ვალი—4,919 მან. 93 კაბ., შესატანი 185 მან. 49 კაბ., სულ—5,105 მან. 42 კაბ.

ამილახვარი, ივანე თეიმურაზის-მე: სახნავე-სათესი ადგილი, 151 დეს. 1,756 საყ. თფ. გუბ. ბორის მაზრაში, სოფ. მაწრეთს. თიენი ვალი—3,443 მან. 88 კაბ., შესატანი—154 მან. 79 კაბ., სულ—3,597 მან. 67 კაბ.

გაბაშვილი, იოსებ დავითის-მე: სახნავე-სათესი და სამოვარი ადგილები, 178 დესიატ. 2011 საყ., თფ. გუბ. და მაზრაში, სოფ. საგაბაშვილის და მხინვალს. თიენი ვალი—2,951 მან. 96 კაბ., შესატანი—198 მან. 50 კაბ. სულ—3,150 მან. 46 კაბ.

ორბელიანი, ვახტანგ ვახტანგის-მე: სახნავე-სათესი ადგილები და ტყე 1,977 დესიატ. 1280 საყ. თფ. გუბ. და მაზრაში, სოფ. ძველ-ღუმანისში, საფარლოს და მატევიანის სოფელს. თიენი ვალი—13,775 მან. 85 კაბ., შესატანი—552 მან. 18 კაბ. სულ—14,328 მან. 3 კაბ.

ცაიშვილი, დავით ივანეს-მე: სახნავე-სათესი და სამოვარი ადგილები, 87 დესიატ. 960 საყ. თფ. გუბ. ბორის მაზრაში, სოფ. ძვემო-ნიხბისს. თიენი ვალი—3,949 მან. 31 კაბ., შესატანი—175 მან. 30 კაბ., სულ 4,124 მან. 61 კაბ.

ორბელიანი, ვახტანგ ვახტანგის-მე: სახნავე-სათესი, სამოვარი და სათიბი ადგილები, 1,434 დესიატ. 1,120 საყ. თფ. გუბ. და მაზრაში, სოფ. მურიყალს და შილიარში. თიენი ვალი—10,860 მან., შესატანი 594 მან. 38 კაბ., სულ—11,454 მან. 68 კაბ.

ქარუმიძე, ივანე ზაატას-მე: სახნავე-სათესი ადგილები, 12 დესიატინა 1,440 საყ. თფ. გუბ. ბორის მაზრაში, სოფ. მთორისს. თიენი ვალი—296 მან. 12 კაბ., შესატანი—23 მან. 35 კაბ., სულ—319 მან. 47 კაბ.

ამილახვარი, ამირანდო ამირანდოს-მე: სახნავე-სათესი და სათიბი ადგილები, 145 დესიატ. 175 საყ. თფ. გუბ. ბორის მაზრაში, სოფ. მაწრეთს. თიენი ვალი—2,961 მან. 90 კაბ., შესატანი—134 მან. 21 კაბ., სულ 3,096 მან. 11 კაბ.

ვარლამოვი, ალექსანდრე ივანის-მე: სახნავე-სათესი, სათიბი და სამოვარი ადგილები, 266 დესიატ. თფ. გუბ. და მაზრაში, სოფ. მხინვალს. თიენი ვალი—4,936 მან. 50 კაბ., შესატანი—216 მან. 39 კაბ., სულ—5,152 მან. 89 კაბ.

ერისთავი, ესტატე მირმანოზის-მე: სახნავე-სათესი და სამოვარი ადგილები, 280 დესიატ. 2,006 საყ. თფილისის გუბ. ბორის მაზრაში, ახოსის. თიენი ვალი—7,898 მან. 40 კაბ., შესატანი—381 მან. 58 კაბ. სულ—8,279 მან. 98 კაბ.

ანდრონიკოვი, ზაქარია იოსების-მე: სახნავე-სათესი, სათიბი და სამოვარი ადგილი და ბუჩქის ტყე, 4765 დესიატ. თფ. გუბ. და მაზრაში, სოფ. ლამბალოს. თიენი ვალი—59,238 მან. 7 კაბ., შესატანი—2,475 მან. 50 კაბ. სულ—61,713 მან. 57 კაბ.

მადღავისა, ნინო სარდაიანის ასული: ზვარი, 6 დესიატ. თფ. გუბ. სიღნაღის მაზრაში, სოფ. ბაკურციხეს. თიენი ვალი—1,700 მან., შესატანი—83 მან. 8 კაბ., სულ—1,783 მან. 8 კაბ.

ზანდუკელი, ოტია გიორგის ასული: ზვარი, 7 დესიატ. თფ. გუბ. ლუშეთის მაზრაში, სოფ. არაგვისპირს. თიენი ვალი—2,000 მან. შესატანი 64 მან. სულ—2,064 მან.

ვარლამოვი, ალექსანდრე ივანის-მე: ზვარი, 7 დესიატინა 600 საყ. თფ. გუბ. და მაზრაში, საგაბაშვილოს მხინვალს. თიენი ვალი—2,000 მან. შესატანი—95 მან. 80 კაბ. სულ—2,095 მან. 80 კაბ.

ერისთავი, ვახტანგ დავითის-მე: სათიბი ადგილები და ტყე 204 დეს. 1200 საყ. თფ. გუბ. თიანეთის მაზრაში, სოფ. ბოჭორმას. თიენი ვალი—2,000 მან., შესატანი 64 მან. სულ—2,064 მან.

ამ მამულების გასყიდვა, ბანკის წესდების 18 მუხლის თანახმად, დაიწყება ზემო-აღნიშნულის ვალიდან, რომელსაც მიემატება კიდევ სახელმწიფო და ფაქტის ხარჯის გარდასახდელი (ნედაიშკები). ბანკის თიენი ვალი სესხის ამლებს შეუძლიან გარდასახდოს ამავე ბანკის გირაოს ფურცლებით, რომელნიც მიიღება მათის ნორმალურის ფასით, მანეთი მანეთში; თიენი ვალი შეიძლება აგრეთვე გარდასახდოს იქმნეს მსყიდველზე; ვადაზე შემოსატანი და სხვა გარდასახადი კი ნაღდი ფულით უნდა იქმნეს ბანკში შემოტანილი.

თუ ამ 13 ივნისს არ გაიყიდა რომელიმე მამული, ამ შემთხვევაში ამავე წლის 27 ივლისისათვის, წესდების მე-21 მუხლის თანახმად, დაინიშნება მეორეჯერ და უკანასკნელი გასყიდვა (ტარგი).

წესდების მე-16 მუხლის თანახმად, სესხის ამლებს უფლება აქვს გარდასახდელი ფული თავის სარგებლით და სხვა ხარჯით შემოიტანოს ბანკში თვით გასყიდვის დღემდინ.

(3—1)